საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 7

ქ. თბილისი 26.07.2016

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მაგდა მაღრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღამსრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი განათლების განვითარების სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:
ლევან ჯაყელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რომან მამულაძე - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი;
ასლან მახაძე - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი:

ერმილე მესხია - სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
მამუკა ჯორბენაძე - სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
ვლადიმერ ბიბილეიშვილი - სასცენო ხელოვნების დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

ციური დურული - სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი გვალია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
სოფო ზვიადაძე - უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:

ვახტანგ სურგულაძე - ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის დეკანი;
მაია გონაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

კონსტანტინე თოფურია;
ნანა შონია;
დავით სიხარულიძე;
თამარ ვეფხვაძე;
ნინო ღაღანიძე;
ნატალია გენგიური;
ვასილ კიკუტაძე;
ია ნაცვლიშვილი;
მარიამ გერსამია;
დალი ოსეფაშვილი;
ფიქრია ვარდოსანიძე;
დარეჯან გარდავაძე;
გიორგი ღაღანიძე.

სხდომა 14:30 საათზე დაიწყო. თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ტრანსპორტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საფინანსო საქმისა და ტრანსპორტის დაზღვევის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების (მხატვრული კინოს რეჟისურა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (დრამის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმრო მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმრო მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარე დაინტერესდა, რაიმე შუამდგომლობა ხომ არ დაფიქსირებულა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ცენტრის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა, განაცხადა, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტმა ცენტრში შემოიტანა განცხადება, რითაც ითხოვდა მიმდინარე სხდომაზე ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის დამატებით საკითხად განხილვას. დაწესებულების არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ 26 ივლისის შემდგომ პროგრამის ხელმძღვანელი მაია გონაშვილი მივლინებით მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ შუამდგომლობას. საბჭოს ყველა წევრმა თანხმობა განაცხადა საკითხის დამატებაზე.

შესაბამისად **დღის წესრიგი** დამტკიცდა ახალი სახით:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ტრანსპორტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საფინანსო საქმისა და ტრანსპორტის დაზღვევის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების (მხატვრული კინოს რეჟისურა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (დრამის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმრო მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმრო მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ეკონომიკის - ტრანსპორტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკა
განათლების საფეხური: საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა კონსტანტინე თოფურიამ წარადგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. უმჯობესი იქნებოდა, პროგრამას „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკა“ ეწოდოს „ტრანსპორტის ეკონომიკა“.
2. სასურველი იქნებოდა, უმაღლესი მათემატიკა ისწავლებოდეს სამ სემესტრად (აქედან ერთი სემესტრი დათმობოდა წრფივი ალგებრისა და ანალიზური გეომეტრიის თემატიკას, ხოლო ორი სემესტრი მათემატიკური ანალიზის თემატიკას) დამატებით ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ერთ სემესტრად.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას გამოიხატა სამი ძირითადი მიმართულება, სადაც შევიდა გარკვეული ცვლილებები, თუმცა აღნიშნული არ მოდიოდა წინააღმდეგობაში რეგულაციებთან.

პროგრამის ხელმძღვანელმა, პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ უკვე წარმოდგენილი ჰქონდათ ის ვერსია, სადაც შენიშვნების უმეტესობა გათვალისწინებული იყო. მაგალითად, კურსს „მონაცემთა პროგნოზირება“ მიეთითა სათანადო ლიტერატურა, მათემატიკა გახდა სამსემესტრიანი და დაემატა ორი მომიჯნავე კურსი.

ლიტერატურასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოში არ ისწავლებოდა ყველა დარგი, პრობლემური იყო ქართულენოვანი ლიტერატურა, ასევე ვაკუუმი იქმნებოდა იმის გამო, რომ სარკინიგზო მიმართულებით საბაკალავრო საფეხურის პროგრამებიც არ მოქმედებდა. ძირითად ლიტერატურად მითითებული რუსულენოვანი ლიტერატურა მხოლოდ ორ კურსში იყო, რაც ამ დროისთვის უკვე ამოღებული იყო სასწავლო კურსებიდან.

რაც შეეხებოდა ფინანსების ნაწილს, პროგრამაში გათვალისწინებული იყო ფინანსური აღრიცხვა, დარგობრივ ეკონომიკაშიც ისწავლებოდა ქვესაკითხების სახით, ლოჯისტიკასაც ასწავლიდნენ, შესაბამისად, თვლიდნენ, რომ საკმარისად იყო წარმოდგენილი ეს ნაწილი.

პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისი სახელწოდება მართლაც პირდაპირ ასახავდა პროგრამის შინაარსს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ უწევდათ კონკურენტულ პირობებში მოღვაწეობა, არსებული სახელწოდება პროგრამას სპეციალობის მიმზიდველობის გასაზრდელად დაარქვეს. თუმცა სასწავლო უნივერსიტეტში მომუშავე ჯგუფი მაინც განიხილავდა ამ საკითხს.

ნანა შათაშვილი, დაინტერესდა, სულ რა მოცულობით იყო წარმოდგენილი მათემატიკური საგნები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე ჰქონდათ 4 ასეთი საგანი, მათ შორის, მათემატიკური ანალიზი და ალბათობა. ნანა შათაშვილმა დააზუსტა, რომ მას აინტერესებდა საათების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გათვალისწინებული იყო 1 ლექცია და 2 სემინარი. ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ მათემატიკისთვის საათების ეს რაოდენობა არ იყო საკმარისი. ის ასევე დაინტერესდა პერსონალით, ხომ არ ჰყავდათ მოწვეული კადრები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პერსონალი სრულად წარმოადგენდა საზღვაო აკადემიის კადრს.

ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ მეტი საათები იყო საჭირო მათემატიკაში.

თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, პრაქტიკული სამუშაოების უზრუნველსაყოფად კონკრეტულად რა კომპანიებთან იყო გაფორმებული მემორანდუმები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ხელშეკრულებები იყო დადებული მერიასთან, ბათუმის ნავსადგურთან, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და ა.შ. მან ასევე დაამატა, რომ ეს თანამშრომლობა მოქმედებდა პრაქტიკისა და დასაქმების დონეზე, კურსდამთავრებულებს ასევე შეეძლებოდათ, ემუშავათ მარეგულირებელ ორგანოებში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ პროგრამაზე, დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ელოდებოდნენ დაახლოებით 30 სტუდენტს. პროგრამა ამოქმედდებოდა მომავალ წელს, შესაბამისად, მანამდე კიდევ დაიხვეწებოდა.

მაგდა მაღრაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენად იყო გათვალისწინებული დამსაქმებლების ინტერესები პროგრამისა და სილაბუსების შედგენისას. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დამსაქმებლებთან მუდმივი შეხვედრები იმართებოდა. ზაფხულშიც იგეგმებოდა ფორუმი და ინტერესები გათვალისწინებული იყო, მართალია 100%-ით ვერა, რადგან ლიტერატურის სიმწირეც მოქმედებდა თავის მხრივ, თუმცა კომპეტენცია და შედეგი სრულად აკმაყოფილებდა დამსაქმებლების მოთხოვნას.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ პრაქტიკის უზრუნველყოფის საკითხით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა 5 კრედიტიან პრაქტიკას, რაც გულისხმობდა პროექტის შესრულებას, ასევე ჰქონდათ საწარმოო პრაქტიკა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ეკონომიკის - ტრანსპორტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ეკონომიკის - ტრანსპორტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფინანსების - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე
განათლების საფეხური: საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ ნანა შონია, დავით სიხარულიძე და კონსტანტინე თოფურია. ნანა შონიამ წარმოადგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილი იყო, როგორც დაწესებულების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მისიაში მეტად წარმოჩენილიყო ინსტიტუციისა და პროგრამის მნიშვნელობა რეგიონული განვითარების კონტექსტში;
2. სასურველი იყო, დაზუსტებულიყო პროგრამის სახელწოდება და დარქმეოდა - „საფინანსო საქმე და ტრანსპორტის დაზღვევა";
3. უმჯობესი იქნებოდა, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსით გათვალისწინებულ ჯგუფში მუშაობის ცხრილში სალექციო თემების მიხედვით ასახულიყო სწავლის შედეგების მისაღწევი მეთოდები და შეფასების რუბრიკები;
4. ასევე, შეცვლილიყო პროგრამით გათვალისწინებული „პროფესიული პრაქტიკის" საკონტაქტო საათები (30 სთ ლექცია, 30 სთ ჯგუფში მუშაობა) მენტორთან ვიზიტის საათობრივი დატვირთვით და დაზუსტებულიყო პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის დღე და საათი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისიასთან დაკავშირებით არ ეთანხმებოდნენ ექსპერტებს, რადგან საზღვაო აკადემია სრულიად ქვეყნის მასშტაბით ასახავდა პროგრამის ამბიციებს.

ნანა შათაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მათემატიკისთვის მეტი საათების დათმობა იყო საჭირო. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მათემატიკის კარგი სკოლა ჰქონდა და შეეძლოთ იქიდან მოეწვიათ სპეციალისტები, საათების გაზრდა პრობლემას არ წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტებს უჭირდათ მათემატიკის სწავლა და უნივერსიტეტი თავის მხრივ ცდილობდა შეემსუბუქებინა მათთვის

სწავლის პროცესი, რაზეც საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა მიუგო, რომ ზუსტად იმიტომ უჭირდათ სტუდენტებს საგნის ათვისება, რომ ცოტა დრო ჰქონდა დათმობილი.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ბაკალავრიატში მეტი არჩევითი საგანი უნდა ყოფილიყო შემოთავაზებული, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ დამატებითი სპეციალობის მიმნიჭებელი პროგრამები საერთოდ არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფინანსების - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფინანსების - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ტურიზმის მენეჯმენტი
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დავით სიხარულიძემ წარმოადგინა:

პროგრამულ ნაწილთან მიმართებით:

1.1 საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტი ითვისებდა არანაკლებ 120 ECTS კრედიტისა. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს შეეძლო მოიპოვოს საშუალოდ 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში). სემესტრის ხანგძლივობა შეადგენდა 19 კვირას, საიდანაც 15 კვირა დათმობილი იყო მეცადინეობების ჩატარებაზე, ხოლო 4 კვირა – სტუდენტთა ცოდნის შეფასებაზე.

1.2 საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტი აღწერილი იყო სილაბუსში, რომელშიც მოცემული იყო დისციპლინის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და ცოდნის შეფასების პროცესის დეტალური აღწერა. ცალკეული დისციპლინის სწავლის მიზანი და შედეგები გამომდინარეობდა პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერიდან, ხოლო შეფასების მეთოდები ორიენტირებული იყო სწავლის შედეგების შეფასებაზე.

თუმცა, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამაში შემავალი ცალკეული სასწავლო დისციპლინების მიმართ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც ვიზიტის მსვლელობის დროს ნაწილობრივ გასწორდა, კერძოდ:

- პროგრამაში შემავალი ცალკეული დისციპლინების სილაბუსში საჭირო იყო მომხდარიყო კომპეტენციების დახვეწა, კერძოდ სილაბუსის ,,სოციალური თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა" და სილაბუსის ,,სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა ბიზნესში" ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და დასკვნის უნარი იდენტური იყო;
- ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ, კომპონენტს ,,კვლევის მეთოდები ტურიზმში" თავისი შინაარსიდან და გამოყენებული ლიტერატურიდან გამომდინარე დარქმეოდა „კვლევის მეთოდები".

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები ლოგიკურად იყო ურთიერთდაკავშირებული, და ძირითადად უზრუნველყოფდა პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების

მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყო შემდეგი კომპეტენციების მიხედვით - ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები და შესაბამისობაში იმყოფებოდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერთან მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი - შეესაბამებოდა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის - ,,ტურიზმის მენეჯმენტი" - აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში კრედიტები განაწილებული იყო სხვადასხვა სახის სასწავლო კომპონენტს შორის (როგორიცაა სასწავლო კურსები, პროფესიული პრაქტიკა და ა.შ.). თუმცა პროგრამაში არ იყო ჩასმული სასწავლო კომპონენტი - პროფესიული პრაქტიკა, სასურველი იყო, ჩასმულიყო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

ასევე, „კვლევის მეთოდები ტურიზმში" პროგრამაში ჩასმული უნდა ყოფილიყო არა არჩევითი არამედ სავალდებულო დისციპლინის სახით, ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად კვლევის მეთოდები წარმოადგენდა აუცილებელ დისციპლინას. აღნიშნული ხარვეზი, პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივითა და აკადემიის სენატის მხარდაჭერით,ვიზიტის მსვლელობის დროს გასწორდა და მოდერნიზებულ პროგრამაში „კვლევის მეთოდები აისახა, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

4.4 პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურის უმრავლესობა ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო ელექტრონული ფორმით, რომელიც სტუდენტისთვის ნებისმიერ დროს იქნებოდა ხელმისაწვდომი. თუმცა, საჭირო იყო პროგრამაში შემავალი ცალკეული დისციპლინების სილაბუსებში მითითებულ სასწავლო ლიტერატურის განახლება. კერძოდ სილაბუსში ,,ფრანჩაიზინგი ტურიზმში" მითითებული ლიტერატურა 28 გვერდის მოცულობის იყო და ექსპერტების მოსაზრებით, მასში შემავალი შინაარსით ნაკლებად შესაძლებელი იყო სილაბუსში მოცემული კომპეტენციებზე გასვლა. გარდა ამისა, ზოგიერთი მომიჯნავე დისციპლინების სწავლება ხდებოდა ერთიდაიგივე ლიტერატურით - მაგალითად ლოჯისტიკა, ტურიზმის სატრანსპორტო უზრუნველყოფა, ლოჯისტიკის მენეჯმენტი ტურიზმში.

ასევე, კომპონენტების ლიტერატურის ჩამონათვალში იყო რუსულენოვანი სახელმძღვანელოები, მაშინ, როცა პროგრამა რუსული ენის სწავლებას მხოლოდ არჩევით კომპონენტში ითვალისწინებდა და ისიც საბაზისო დონეზე, რაც არ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ სტუდენტს შეძლებოდა ეხელმძღვანელა რუსულენოვანი ლიტერატურით.

ექსპერტებმა წარმოადგინეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. საჭიროა პროგრამაში შემავალი ცალკეული დისციპლინების სილაბუსებში მითითებულ სასწავლო ლიტერატურის განახლება და დაკონკრეტება, კერძოდ - ,,ფრანჩაიზინგი ტურიზმში", „ლოჯისტიკა", „ტურიზმის სატრანსპორტო უზრუნველყოფა", „ლოჯისტიკის მენეჯმენტი ტურიზმში";

2. საგანმანათლებლო პროგრამის - ,,ტურიზმის მენეჯმენტი" - აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარისში აღნიშნული იყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში კრედიტები განაწილებული იყო სხვადასხვა სახის სასწავლო კომპონენტს შორის (როგორიცაა სასწავლო კურსები, პროფესიული პრაქტიკა და ა.შ.). თუმცა, პრგრამაში არ იყო ჩასმული სასწავლო კომპონენტი - პროფესიული პრაქტიკა, რომელიც მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

თავმჯდომარემ, მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო კრედიტების რაოდენობის განაწილება. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 60 კრედიტი იყო სპეციალობის, 30 სავალდებულო და 30 არჩევითი.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ არჩევითი საგნები არ იყო წარმოდგენილი მრავალფეროვნად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საზღვაო საქმიანობა რეგულირებადი იყო, შესაბამისად, მოთხოვნებიც ჰქონდა მკაფიოდ განსაზღვრული. მან დაამატა, რომ ხელშეკრულებები ჰქონდათ გაფორმებული უკრაინის, გერმანიის, სლოვაკეთისა და რუმინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოში პარტნიორებს წარმოადგენდნენ ტურიზმის სააგენტოები, ბათუმის პორტი, რაც წარმოადგენდნენ დამსაქმებლებსაც და მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავების პროცესშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მთავარ პრობლემას ტურიზმში წარმოადგენდა მომსახურების ხარისხი, რაც დასტურდებოდა მათ მიერ ჩატარებული არაერთი კვლევით, ასევე სუსტი რგოლი იყო კომუნიკაცია და ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით საკრუიზო ტურიზმის მიმართულებით. შესაბამისად, საჭირო იყო კვალიფიციური კადრების მომზადება.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა უცხო ენებს სთავაზობდნენ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ პროგრამა ითვალისწინებდა ინგლისური ენის სწავლებას.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა რეკომენდაციით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაემატებინათ სხვა უცხო ენებიც.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა ტურიზმის პოლიტიკის საკითხები თუ იყო გათვალისწინებული პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იმის გამო, რომ საბაკალავრო პროგრამაში ისწავლებოდა ეს საკითხები, აღარ გაამეორეს სამაგისტრო საფეხურზე.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ მიღებაზე შეზღუდვა არ ჰქონდათ მაგისტრატურაში, შეიძლებოდა მოსულიყო სტუდენტი, რომელსაც არ ექნებოდა გავლილი საბაკალავრო პროგრამა ამ უნივერსიტეტში, შესაბამისად არ ექნებოდა ცოდნა აღნიშნული თემატიკის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებდნენ ამ რეკომენდაციას, მით უმეტეს, პროგრამა მომავალი წლიდან ამოქმედდებოდა და დარჩენილი დრო იძლეოდა რედაქტირების საშუალებას.

თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა ვისთვის ამზადებდნენ სპეციალისტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კურსდამთავრებულები შესაძლებელია დასაქმებულიყვნენ ტურისტულ კომპანიებში, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში, ბათუმის პორტში.

ნათელა სახოკია დაინტერესდა, თუ ექნებოდა კურსდამთავრებულს დიდი სასტუმროს მართვის შესახებ ცოდნა, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ექნებოდა კურსდამთავრებულს ეს უნარი და აღნიშნა, რომ პროგრამის დიდი ნაწილი ვარნის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შეიქმნა, რაც პროგრამას უნიკალურს ხდიდა საქართველოს მასშტაბით.

მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა რამდენი პროფესორი იყო ჩართული პროგრამაში და ამათგან რა რაოდენობას შეადგენდა ადგილობრივი კადრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამაში ჩართული იყო თავართქილაძის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტების პერსონალი, თუმცა პროგრამის ძირითადი განმახორციელებლები იყვნენ ადგილობრივი კადრები, სულ 12 -მდე პროფესორი.

მაგდა მაღრაძემ მაგალითად მოიყვანა პროგრამაში ჩართული პირის, მაია უკლებას საგანი და დაინტერესდა როგორ კითხულობდა ბათუმში მთელი სემესტრის განმავლობაში სასწავლო კურსს, როდესაც ამავდროულად სრული პროფესორი იყო სხვა უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვირაში 3 საათით იყო გათვალისწინებული აღნიშნული საგანი და შაბათ დღეს მისი ჩამოსვლის ორგანიზება პრობლემას არ წარმოადგენდა.

გარდა ამისა, ხელშეკრულებები პერსონალთან გაფორმებული იყო, რითაც ისინი აცხადებდნენ მზაობას ჩართულიყვნენ პროგრამაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა - მაგდა მაღრაძე, ლევან გორდეზიანი.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ექსპერტების რეკომენდაციები გასათვალისწინებელი იყო, საჭირო იყო პროგრამის გაძლიერება, რადგან ის არ ითვალისწინებდა ისეთ კურსებს, როგორიცაა ტურიზმის პოლიტიკა, სტრატეგიული მენეჯმენტი, კვლევის მეთოდები, ბიზნესის მოდელირება, ეკონომიკა და ა.შ. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ნამუშევარი აღნიშნულ პროგრამაზე, საჭირო იყო მისი დახვეწა.

4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ხელოვნების მენეჯმენტი
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თამარ ვეფხვაძემ და ნანა შონიამ წარმოადგინეს. თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ ჩატარდა ინტერვიუ ყველა ჩართულ მხარესთან, პროგრამა იყო ახალი და ზოგადი დასკვნა დადებითი.

მან აღნიშნა, რომ მიუხედავად რეკომენდაციების რაოდენობისა, დიდი ნაწილი იყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, რაც ადგილზევე იქნა გამოსწორებული. თამარ ვეფხვაძემ ყურადღება გაამახვილა აჭარის რეგიონში არსებულ ვითარებაზე, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ აქტიურად ხდებოდა სხვადასხვა შენობა-ნაგებობების დიდი რაოდენობით შესყიდვა თურქეთის მოქალაქეების მხრიდან, იქმნებოდა მედრესები სადაც უფასო იყო სწავლება და აქედან გამომდინარე, ზოგადად განათლების საკითხი ბათუმში პოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებდა. მისი თქმით, უნივერსიტეტების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს და საჭიროებდა განსაკუთრებულ მიდგომას.

თამარ ვეფხვაძემ დაამატა, რომ უნივერსიტეტში ჩატარებული ინტერვიუები იყო ძალიან საინტერესო, პოტენციურ დამსაქმებლებთან დაისვა შეკითხვები თუ რა უნარები დაუკვეთეს უნივერსიტეტს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, რომელი კურსი იყო შემოთავაზებული და ა.შ. მან განაცხადა, რომ ინტერვიუირებამ მოლოდინს გადააჭარბა, რადგან არ იყო ფორმალური და დამსაქმებლები რომლებიც წარმოადგენდნენ თეატრს, მუზეუმს, მუსიკალურ ცენტრსა და ბიბლიოთეკას აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში, ზუსტად დაასახელეს რა უნარებსა და პრაქტიკულ ცოდნას ითხოვდნენ კურსდამთავრებულებისგან.

თამარ ვეფხვაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია, როგორც დაწესებულების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მისიაში მეტად წარმოჩენილიყო ინსტიტუციისა და პროგრამის მნიშვნელობა რეგიონული განვითარების კონტექსტში.
2. პროგრამის კურიკულუმსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში არ ჩანდა შუალედური შეფასებებისთვის გამოყოფილი დრო. თუმცა სასწავლო გეგმაში არსებობდა ოფცია შუალედური

შეფასებებისთვის - 2 სთ, რომლებიც, სავარაუდოდ, დაგეგმილი იყო ჯგუფში მუშაობის დროს, მაგრამ, ჯგუფში მუშაობა ყველა სილაბუსის მიხედვით იყო 1 საათიანი და, ამავდროულად, აქვე იყო დაგეგმილი ლექციის ჩატარებაც (1 სთ.). ექსპერტების აზრით, სასურველი იყო ამ ოფციის თვალსაჩინოდ ასახვა სილაბუსებში.

3. საკონტატო საათებში არ ჩანდა საგამოცდო და კონსულტაციის საათები, ისინი მხოლოდ 30 საათით (სალექციო+ჯგუფში მუშაობა) შემოიფარგლებოდა. სასურველია, სილაბუსებში ამ საათების დაფიქსირება.

4. ზოგიერთ სილაბუსში გაურკვეველი იყო, რა რუბრკები გამოიყენებოდა ჯგუფში მუშაობის დროს, სტუდენტთა აქტივობის შეფასებისას ქულები რა მოთხოვნების მიხედვით იწერებოდა. მიზანშეწონილია შეცვლილიყო და დაკონკრეტებულიყო შეფასების რუბრიკები სილაბუსებში.

5. საგანმანათლებლო პროგრამის ნარატიულ ნაწილში, „სწავლის შედეგების დესკრიპტორის" ოფციაში „დასკვნის უნარი" იყო ჩანაწერი: „ფლობს კვლევის შედეგად მიღებული რაოდენობრივი და თვისობრივი ინფორმაციის კრიტიკულად გაანალიზების, უახლესი და/ან არასრული მონაცემების სინთეზის მოხდენის და დასკვნების გამოტანის უნარს, რაც შესაბამისი არგუმენტაციით იქნება გამყარებული" - თუმცა, პროგრამის მიხედვით არ ჩანდა, რომელი სასწავლო კურსი უყალიბებდა სტუდენტს აღნიშნულ უნარებს. ანალოგიურად, ოფციაში „კომუნიკაციის უნარები" გვხვდებოდა ჩანაწერი: „მაგისტრს შეუძლია ახალი ტენოლოგიების გამოყენებით მომაზადოს კვალიფიციური მოხსენები, ანგარშები, პროექტები და წარადგინოს საზოგადოების წინაშე. მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში და ა.შ." პროგრამის მიხედვით კი, ასევე, არ ჩანდა, სასწავლო კურსი, რომელიც აღნიშნული უნარებით უზრუნველყოფდა სტუდენტს. ამასთანავე, პროგრამაში 20 ECTS კრედიტი ეთმობოდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას, თუმცა, მასში შემავალ სასწავლო კურსთაგან, არც ერთი უყალიბებდა სტუდენტს ანალიტიკურ/კვლევით უნარებს (მაგ., „აკადემიური წერა" ან „კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია" და სხვ.). სასურველია ამგვარი სასწავლო კურსი დამატებულიყო კურიკულუმს.

6. სასწავლო კურსს - ხელოვნების მენეჯმენტი - სასურველია დარქმეოდა „ხელოვნების მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები", ან „ხელოვნების მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებები". წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მთელი პროგრამა გაწერილი იყო ერთ სასწავლო კურსში. გარდა ამისა, ბუნდოვანია, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა 30 საკონტაქტო საათში აღნიშნული თემატიკის ამოწურვა - სილაბუსის სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული იყო მართვის, ეკონომიკის, დაფინანსების, აუდიტორიასთან კომუნიკაციის და ა.შ. საკითხები, რომელთა 15 სალექციო საათში ახსნა ექსპერტთა ჯგუფს ნაკლებად შესაძლებლად მიაჩნდა.

7. პროგრამის კურიკულუმში ცალკე სასწავლო კურსად გამოტანილი იყო „პროექტი", რაც კითხვებს იწვევდა, რადგან პროგრამით ასევე გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსი: „პროექტების მენეჯმენტი კულტურაში" (ანალოგიური საკითხებია) და ბოლოს, სამაგისტრო ნაშრომიც ერთგვარ პროექტს წარმოადგენდა.

8. „ხელოვნების მენეჯმენტი" კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მიხედვით ეკუთვნის „ბიზნესის ადმინისტრირების" მიმართულებას, ამიტომ, ხაზგასმით მიზანშეწონილია, პროგრამა გაძლიერებულიყო „ბიზნესის ადმინისტრირებისა" და „ფინანსური მართვის" ასპექტებით. ისეთი სასწავლო კურსებით, რომლებიც შესაბამის უნარებს ჩამოუყალიბებდა მაგისტრანტს (მაგ., ფინანსური მენეჯმენტი, ბიზნესის პროგნოზირება, მარკეტინგული კვლევები და სხვ.). ამასთან, პროგრამას ემსახურებოდა აკადემიური პერსონალი, რომელთაგან „მენეჯმენტის" კვალიფიკაციის მქონე არც ერთი არ იყო, თუმცა, მათი პროფესიული გამოცდილება ბოლო ათი წლის მანძილზე უკავშირდებოდა კულტურის მენეჯმენტის მიმართულებას (გადამოწმებულ იქნა აკადემიური პერსონალის მონაცემები, მიღწევები, პუბლიკაციები და სხვ.). ამ მხრივაც, სასურველი იყო პროგრამის გაძლიერება „მენეჯმენტის" მიმართულების კვალიფიციური პერსონალით.

9. ზოგიერთ სილაბუსში გასასწორებელი იყო სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც, კონკრეტულ სასწავლო კურსზე წინა სემესტრში გავლილი სასწავლო კურსის აუცილებლობას გულისხმობდა, და არა ზოგადად რაიმე ტიპის ცოდნას.

10. პროგრამის „სამაგისტრო ნაშრომის" სილაბუსის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის (20 ECTS კრედიტი) შესასრულებლად არსებობდა წინაპირობა - სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული 100 ECTS კრედიტის მოპოვება. ამავდროულად, ამავე IV სემესტრში სტუდენტი, პარალელურ რეჟიმში გადიოდა პროფესიულ პრაქტიკას (10 ECTS კრედიტი). შესაბამისად, კონკრეტულ წინაპირობაში 100 ECTS კრედიტის ნაცვლად უნდა მითითებულიყო 90 ECTS კრედიტი. თუმცა, უმჯობესი იქნებოდა, „პროფესიული პრაქტიკა" მეოთხე სემესტრიდან მესამე სემესტრში ყოფილიყო გადატანილი და მეოთხე სემესტრში მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა ყოფილიყო გათვალისწინებული 30 კრედიტის მოცულობით.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა სხვა საფეხურის პროგრამა თუ მოქმედებდა უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ ჰქონდათ საბაკალავრო პროგრამა - კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი.

ნანა შათაშვილი დაინტერესდა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი თუ ახორციელებდა მსგავს პროგრამას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბათუმს არ ჰქონდა პროგრამები ამ მიმართულებით.

ექსპერტმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო კადრების გაძლიერება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის დახმარებით, თუმცა იმის გამო, რომ დაწესებულება წარმოადგენდა სსიპ-ს, პროცედურები უფრო რთული იყო, ვიდრე კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში, რადგან შტატის დასამატებლად წინაპირობად საჭირო იყო ჯერ აკრედიტაციის მიღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ერმილე მესხიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, აღნიშნა, რომ მუშაობა კოლეგიალურ რეჟიმში მიმდინარეობდა, მიუხედავად დაწესებულების მხრიდან არგუმენტაციის მცდელობისა, ექსპერტების შენიშვნები იმდენად დასაბუთებული იყო, რომ უნივერსიტეტმა მაქსიმალურად გაითვალისწინა რეკომენდაციები. ნაწილი უზუსტობებისა ადგილზევე გასწორდა, ნაწილი კი ვიზიტის შემდეგ.

ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ მეხუთე რეკომენდაცია მისი მოსაზრებით ყველაზე მძიმე იყო შინაარსობრივად. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვინაიდან არ ჰქონდა უნივერსიტეტს ასეთი პროგრამის განხორციელების გამოცდილება, შესწავლილი იყო მსგავსი პროგრამები და ბევრ მათგანში იყო იგივე მდგომარეობა. თუმცა ვიზიტის შემდეგ პროგრამამ მოდიფიცირება განიცადა, დაემატა არჩევითი ბლოკი მათთვის, ვისაც არ ჰქონდა გავლილი კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა აღნიშნულ დაწესებულებაში.

საბჭოს თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა მენეჯმენტის კუთხით, როგორ აპირებდნენ პროგრამის გაძლიერებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 4 პროფესორი იყო ამ ეტაპზე ჩართული პროგრამაში, ხელოვნების მენეჯმენტის მხრივ კი პრობლემური იყო კადრის მოძიება, რადგან ამ მიმართულებით პირველად ხარისხი დაცული იყო წინა წელს.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა უნივერსიტეტი. ერმილე მესხიამ უპასუხა, რომ დაახლოებით 6 სტუდენტის მიღებას აპირებდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების (მხატვრული კინოს რეჟისურა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა)
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ ნინო ღაღანიძე და ნატო გენგიური. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა მნიშვნელოვანი იყო არამხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოსთვის. ნინო ღაღანიძემ დაამატა, რომ შესაბამისი საბაკალავრო პროგრამაც არსებობდა, თვითონ ექსპერტი იმყოფებოდა ამ პროგრამის შესამოწმებლად და შეეძლო შეეფასებინა განვითარება ამ პერიოდის განმავლობაში. მან აღნიშნა, რომ ჰქონდათ კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კინოს რეჟისურა ძვირადღირებულ აღჭურვილობას საჭიროებდა და დაადასტურა, რომ ეს ბაზა იყო სრულყოფილი და ხარისხიანი.

ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს რეკომენდაციები:

1. სასურველია, სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში დასკვნითი გამოცდა ზეპირის ნაცვლად გამხდარიყო წერითი ან ორკომპონენტიანი, რომელთაგან ერთი იქნებოდა წერითი.

2. სასურველია, პროგრამის პროფესიული სასწავლო კურსების მოდულს დამატებოდა ამჟამად არჩევითი კურსის სტატუსის მქონე „კინემატოგრაფის ძირითადი ტენდენციები"; ამ საგნის შესწავლა არამხოლოდ ფაქტობრივი მასალის ცოდნით გაამდიდრებდა სტუდენტის თვალსაწიერს, არამედ საშუალებას მისცემდა მას ღრმად გაეანალიზებინა კინემატოგრაფიის ისტორიული და თანამედროვე ტენდენციები. ასევე, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ, კურიკულუმს დამატებოდა „კინოს მხატვრობის" სასწავლო კურსი, რომელიც მხატვრული კინოს წარმოების სრული ციკლის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა.

3. სასწავლო კურსი „მხატვრული კინოს რეჟისურა" ისწავლებოდა სამი სემესტრის განმავლობაში და მიუხედავად იმისა, რომ მინიჭებული ჰქონდა კოდი, რომელშიც ასახული იყო სასწავლო კურსის რიგითობა, მეტი გამჭვირვალობისთვის, მიზანშეწონილი იქნებოდა საგნის დასახელებაშიც ასახულიყო მისი რიგითობა სემესტრების მიხედვით (მაგალითად, დანომრილიყო ან საერთო დასახელებასთან ერთად აქცენტი გაკეთებულიყო კონკრეტულ სემესტრში გასავლელ შინაარსზე).

4. სასურველია, უფრო მკაფიოდ განსაზღვრულიყო მისაღებ გამოცდაზე საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემებზე წერითი დავალების ტიპი, კერძოდ, მითითებულიყო რომ კომისიის მიერ მიცემულ თემაზე სტუდენს მოეთხოვებოდა ექსპლიკაციის შესრულება. სასურველი იქნებოდა, ასევე, დაკონკრეტებულიყო კინოს ისტორიის გამოცდის ფორმატი - წერითი გამოცდა იყო თუ წერითი, რათა აპლიკანტს თავიდანვე ჰქონოდა ზუსტი წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რა მოეთხოვებოდა მას პროგრამაზე ჩასარიცხად.

5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ფასდებოდა 40 ქულით. როგორც პროგრამიდან და მის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ირკვეოდა, სამაგისტრო ნაშრომი ორი კომპონენტისგან შედგებოდა: საკუთრივ შემოქმედებითი პროდუქცია და თეორიული თეზისი. ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია, განსაზღვრულიყო შემოქმედებითი პროდუქციის მინიმალური მახასიათებელი (სავარაუდოდ, ეს შესაძლებელია ყოფილიყო გადაღებული ნამუშევრის დრო ან ქრონომეტრაჟი) და საერთო ქულის ფარგლებში მომხდარიყო პრაქტიკული ნამუშევრისა და თეზისის შესაფასებელი ქულების დიფერენცირება.

6. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებული იყო თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარების განვითარებაზე. სწორედ ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიაჩნდათ ექსპერტებს, მემორანდუმის გაფორმება კინოცენტრთან, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და შრომის ბაზარზე დამკვიდრებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მამუკა ჯორბენაძემ აღნიშნა, რომ მეოთხე და მეხუთე რეკომენდაციები ადგილზევე გასწორდა, დანარჩენები კი ვიზიტის შემდეგ. კერძოდ, კინემატოგრაფიის კურსი გადატანილ იქნა ძირითად ბლოკში, შემუშავების პროცესში იყო კინომხატვრობის სასწავლო კურსი სამაგისტრო საფეხურისთვის, რადგან საბაკალავროზე ეს საგანი ისწავლებოდა.

მაგდა მაღრაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს რუსულ ენასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სილაბუსებში სავალდებულო სახით იყო ჩადებული რუსული ენა, თუმცა მოთხოვნილი არ ჰქონდათ წინაპირობის სახით ენის ცოდნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელოვნების მიმართულებით რუსები ბევრს მუშაობდნენ და რაც იქმნებოდა ახალი, მალევე ითარგმნებოდა.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა ინგლისური ენა თუ იცოდნენ მასწავლებლებმა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფლობდნენ ინგლისურ ენას. მაგდა მაღრაძემ იკითხა სტუდენტებმა თუ იცოდნენ რუსული ენა, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ რუსული ენა იცოდნენ სტუდენტებმა, თუმცა რიდერები ჰქონდათ მასწავლებლებს გამზადებული.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ მოწვეული პერსონალის რაოდენობით, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამას ახორციელებდა უშუალოდ უნივერსიტეტის კადრი.

მაგდა მაღრაძემ იკითხა მისაღები გამოცდის ფორმატში, ინგლისურის რა დონეს ითხოვდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ B2 დონეზე იყო მოთხოვნა. მან დაამატა, რომ აპარატურა ჰქონდათ ძალიან კარგ მდრომარეობაში, 6 კამერა შტატივით, განათება და კიდევ პროექტის ფარგლებში გამდიდრდებოდა ეს ბაზა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, როდის გაიხსნა უნივერსიტეტი. ერმილე მესხიამ უპასუხა, რომ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი 1996 წელს გაიხსნა.

მაგდა მაღრაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს რეკომენდაცია გაუწია, სილაბუსებიდან ამოეღოთ რუსული ლიტერატურა, რომელიც ნათარგმნი იყო ინგლისურიდან, მით უმეტეს, როდესაც მისაღები გამოცდა იყო ინგლისური და არა რუსული ენა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების (მხატვრული კინოს რეჟისურა) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების (მხატვრული კინოს რეჟისურა) სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (დრამის რეჟისურა, თოჯინების თეატრის რეჟისურა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (დრამის რეჟისურა, თოჯინების თეატრის რეჟისურა)
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თეატრალური ხელოვნების მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნატო გენგიურმა და ნინო ღაღანიძემ წარმოადგინეს. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. პროგრამა მიზნად ისახავდა, სტუდენტებისთვის მიეცა საფუძვლიანი ცოდნა თეატრალური ხელოვნების ისეთ მიმართულებაში, როგორიცაა დრამის რეჟისურა და თოჯინების თეატრის რეჟისურა. რეალურ მდგომარეობას ასახავდა მიზნებში იმის მითითება, რომ პროგრამა რეგიონის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე იყო ორიენტირებული. რეგიონში რომ მოთხოვნილება არსებობდა, დაადასტურა დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა.

2. ძირითადი მოდული „დრამის რეჟისურა“ აერთიანებდა ძირითად სასწავლო კურსებს („დრამის რეჟისურა და სადადგმო ხელოვნება“); მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსებს განსხვავებული კოდები ჰქონდა მინიღებული, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ, სტუდენტის ინტერესიდან გამომდინარე, მეტი მკაფიოებისთვის კურსები დანომრილიყო ან კურსის დასახელებაში ასახულიყო სემესტრული შინაარსი (რაზეც კეთდებოდა აქცენტი იმ სემესტრში).

3. ასევე, ზოგიერთ სილაბუსში („დრამატული თეატრის რეჟისურა და სადადგმო ხელოვნება“, თოჯინების თეატრის რეჟისურა და სადადგმო ხელოვნება“) შინაარსი მოცემული იყო თემების ერთიანი ჩამონათვალით. საჭირო იყო, სილაბუსში ასახულიყო კვირეული თემატიკა და საკონტაქტო საათების სახეობა (ლექცია/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა).

4. სილაბუსში „კულტურის პროექტების მენეჯმენტი“ 2 შუალედური შეფასებისთვის ცალკე გრაფები იყო გამოყოფილი: იქმნებოდა მცდარი შთაბეჭდილება, რომ 15 სასწავლო კვირას შუალედურებისთვის კიდევ 2 კვირა ემატებოდა. იმავე სილაბუსის საათების განაწილებაში კი ჩანდა, რომ შუალედურ შეფასებას შესაბამისი კვირის სემინარის საათი ეთმობოდა. საჭირო იყო, გამოსწორებულიყო ეს უზუსტობა, რაც ექსპერტების მოსაზრებით, მექანიკურ შეცდომას

წარმოადგენდა და სილაბუსის შესაბამის ადგილას, შეცვლილიყო სემინარის საათი შუალედური შეფასების საათით.

5. ზოგიერთი სილაბუსის მიზნებში გამოყენებული იყო ისეთი დეფინიციები, რომლებიც ბაკალავრიატის საფეხურისთვის იყო შესაფერისი. მაგალითად, „კურსის მიზანია, სტუდენტს გააცნოს რეჟისურის როლი.. „წარმოდგენა მისცეს გამომსახველობით საშუალებებზე..“ და ა.შ. მაგისტრატურის დონე კონკრეტულ სფეროში ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის მიღებაზეა ორიენტირებული და ეს მიზნების ტექსტშიც უნდა ასახულიყო, მით უფრო, რომ კურსის შინაარსი პასუხობდა აღნიშნულ მოთხოვნას.

6. პროგრამაზე მიღების ერთ-ერთ წინაპირობად თეატრის ისტორიის გამოცდა იყო მითითებული, მოცემული იყო საკითხები და ლიტერატურა, თუმცა ასევე, კარგი იქნებოდა თუ დაკონკრეტდებოდა გამოცდა წერითი იყო თუ ზეპირი ეს გამოცდა.

7. პროგრამა სრულდებოდა სამაგისტრო ნაშრომით, რომელიც მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. კარგად იყო გაწერილი თეორიული ნაშრომის მოთხოვნები თუმცა გაურკვეველი იყო, პრაქტიკული ნაწილის - შემოქმედებით პროდუქტის პარამეტრები, ხანგრძლივობა თუ სხვა მოთხოვნები. ექსპერტებს საჭიროდ მიაჩნდათ, პროგრამაში გაწერილიყო სამაგისტრო ნაშრომის შემოქმედებით ნაწილისადმი წაყენებული მინიმალური მოთხოვნები (ეს შესაძლებელია ყოფილიყო სპექტაკლის ხანგრძლივობა, აქტების რაოდენობა) და საერთო ქულის ფარგლებში მოხდეს პრაქტიკული ნამუშევრისა და თეზისის შესაფასებელი ქულების დიფერენცირება.

8. სასურველია, მიღების წინაპირობებში არსებულ გამოცდას თეატრის ისტორიაში მითითებულიყო გამოცდის სახეობა (ზეპირი თუ წერითი).

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ყველა შენიშვნა გათვალისწინებული იყო.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა რას გულისხმობდნენ ექსპერტები ქულების დიფერენცირებაში, ექსპერტმა, ნატო გენგიურმა უპასუხა, რომ ეს გულისხმობდა კრიტერიუმების ჩაშლას, თუ რის მიხედვით ფასდებოდა სტუდენტი, რათა მას წინასწარ სცოდნოდა ქულების განაწილება.

საბჭოს თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე, დაინტერესდა მოდულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა მოიცავდა ორ მოდულს, ერთ-ერთი იყო თოჯინების თეატრი და სტუდენტი სურვილისამებრ ირჩევდა, მან დაამატა, რომ თითების თეატრი ბათუმიდან იღებდა სათავეს.

მაგდა მაღრაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ გამოიყენებოდა მხოლოდ ერთი წიგნი კულტურის პროექტების მენეჯმენტის საგნისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კონკრეტულად ამ სფეროში ქართულენოვანი ლიტერატურა დეფიციტური იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (დრამის რეჟისურა, თოჯინების თეატრის რეჟისურა) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (დრამის რეჟისურა, თოჯინების თეატრის რეჟისურა) სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

16:45 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 17:05 საათზე.

7. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმრო მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდენ ვასილ კიკუტაძე და ია ნაცვლიშვილი. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. სასურველი იყო, სასწავლო კურსები „ბიზნესის საფუძვლები" (5 კრედიტი) და „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები" (5 კრედიტი) გაერთიანებულიყო ერთ სასწავლო კურსად, ხოლო მენეჯმენტის მოდულის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, არჩევითი სასწავლო კურსები „ოპერაციათა მენეჯმენტი" და „ფინანსური მენეჯმენტი" გამხდარიყო სავალდებულო. ამასთანავე, სასწავლო კურსი „მეღვინეობა" მიზანშეწონილი იყო, გადასულიყო არჩევითი დისციპლინების მოდულში.
2. სასურველი იყო, სასწავლო კურსში „მარკეტინგის საფუძვლები" მითითებული სავალდებულო ლიტერატურა გამდიდრებულიყო ქართულ ენაზე არსებული უცხოური ცნობილი სახელმძღვანელოთი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, მატერიალური ბაზის მდგომარეობით. ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ უპასუხა, რომ ბაზა მოწესრიგებული იყო, გაფორმებული იყო მემორანდუმები, შეხვედრა მოეწყო სასტუმროს წარმომადგენლებთან, რითაც დაადასტურეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობა. სასტუმროს სიმულაცია ჰქონდა უნივერსიტეტს გაკეთებული და ყველა საჭირო რესურსი არსებობდა.

თავმჯდომარე, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა პრაქტიკის კომპონენტს რამდენი კრედიტი ეთმობოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის მოცულობა იყო 10 კრედიტი, პროგრამები შემუშავებული იყო ტემპუსის ფარგლებში, გულისხმობდა სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობას, პროექტში მონაწილეობდნენ ევროპის უნივერსიტეტები, მუშაობა 2013 წლიდან მიმდინარეობდა, შესწავლილი იყო შრომის ბაზარი სრულიად საქართველოს მასშტაბით, მოხდა მონაცემების ანალიზი და შემდგომში უცხოელი ექსპერტები რეგულარულად ახორციელებდნენ მონიტორინგს პროექტის მიმდინარეობის შესახებ. ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ორი პრობლემური მიმართულება - სასტუმრო მენეჯერისა და კომერციული დირექტორის პოზიციები, გორის უნივერსიტეტმა კი შეადგინა

სასტუმროს მენეჯერის კუთხით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. ციური დურულმა დაამატა, რომ პროექტის ფარგლებში პერსონალიც გადამზადდა და გაიარეს ტრენინგები.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა ქართველი პარტნიორებიც თუ ჰყავდათ პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტსაც ჰქონდა შექმნილი პროგრამა ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ლევან სოლომონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რა სახის ტურისტი შემოდიოდა გორში. ციური დურულმა აღნიშნა, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი ტურისტი მიდიოდა გორში, სტალინის სახლმუზეუმის სანახავად. რეგიონის მასშტაბით სასტუმროები განიცდიდნენ პერსონალის დეფიციტს, რისთვისაც მოამზადებდა უნივერსიტეტი კადრებს. ციური დურულმა დაამატა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებდა ტურიზმის პროგრამებსაც და კურსდამთავრებულები არამარტო რეგიონში მუშაობდნენ, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით.

საბჭოს მაგდა მაღრაძე დაინტერესდა უცხო ენების სწავლებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისური იყო სავალდებულო, ასევე რუსული და ფრანგული მეორე ენის სახით - ფრანგული მხარის მოთხოვნით, მათივე მოთხოვნით პროგრამაში გათვალისწინებული იყო მეღვინეობის კურსიც.

მაგდა მაღრაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ბაზრის კვლევაში თუ იყო გამახვილებული ყურადღება, რა რეგიონებიდან ჩამოდიოდნენ ტურისტები. ციური დურულმა აღნიშნა, რომ დიდი იყო დაინტერესება რუსეთის, თურქეთის მხრიდან, ასევე იყვნენ ევროპელი ტურისტებიც.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა ადგილობრივი და მოწვეული პერსონალის პროპორციით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 3 წლის განმავლობაში სისტემურად ხდებოდა პერსონალის გადამზადება, ყველა ადგილობრივი კადრი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმრო მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სასტუმრო მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია წარადგინეს ვასილ კიკუტაძემ და ია ნაცვლიშვილმა:

1. პროგრამის მენეჯერული დისციპლინების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სასურველი იქნებოდა, პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულიდან „ტურიზმი და გარემოს მენეჯმენტი"-ს დისციპლინა გადასულიყო არჩევით მოდულში, ხოლო მისი ადგილი ჩაენაცვლებინა კურსს" სტრატეგიული მენეჯმენტი", რაც პროგრამის არჩევითი დისციპლინების მოდულში იყო გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტი სავალდებულო იყო, მაგრამ ფრანგულ მხარეს სურდა გამოჩენილიყო, რომ სასტუმროზე იყო აქცენტირება, თუმცა რეკომენდაცია მისაღები იყო.

ნანა შათაშვილი დაინტერესდა გარემოს მენეჯმენტში რას გულისხმობდნენ. ციური დურულმა უპასუხა, რომ აქ იგულისხმებოდა გარემო პირობები - სასტუმროსთვის, ტურიზმის განვითარებისთვის. მან დაამატა, რომ წინა პროგრამის მსგავსად, აღნიშნულიც ტემპუსის პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა და პერსონალიც ფაქტობრივად იგივე იყო. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციებს ითვალისწინებდნენ და საჭირო იყო ფაკულტეტის საბჭოს განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: რელიგიის კვლევები
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: რელიგიის კვლევების მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა ვინმეს აცილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, რევაზ სოლომონიამ დააფიქსირა აცილება საკითხზე აღნიშნულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მიზეზით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დარეჯან გარდავაძემ და ფიქრია ვარდოსანიძემ წარადგინეს. მათ აღნიშნეს, რომ პროგრამა იყო ახალი, თემატიკით, სწავლებისა და კვლევის რაკურსით ძალიან საინტერესო, ჩართული პერსონალი დარგის პროფესიონალები, რაც დადასტურდა მათთან ინტერვიუირებით.

ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას თან ახლდა სწავლის შედეგების რუკა, სადაც მთელ რიგ საგნებს (იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის საკვანძო, საკრალური ტექსტების კრიტიკული ანალიზი; რელიგიის კრიტიკული თეორიების განვითარება; რელიგიები და ყოველღიურობა; ემილ დურკჰაიმი და მაქს ვებერი - ორი განსხვავებული პერსპექტივა რელიგიის სოციოლოგიაში; კანონიკური სამართალი; რელიგიის თეორია და კვლევა - ანთროპოლოგიური პერსპექტივა; პოლიტიზირებული რელიგია და რელიგიის რადიკალიზაცია თანამედროვე საზოგადოებაში; თანამედროვე რელიგიური ეთიკის გამოწვევები; რელიგია და საზოგადოება: რელიგიის სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე თეორიების პრიზმაში; იოანეს სახარება. ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი; რელიგიური იდენტობა და ტოლერანტობის ცნება ადრექრისტიანულ თეოლოგიაში; ისლამი და სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; რელიგია და სახელმწიფო; პოლიტიკური თეოლოგია; რელიგია და ძალაუფლება: კლასიკური წარმოდგენების ევოლუცია; ,,ხელოვნების რელიგია". ესთეტიურისა და საკრალურის ურთიერთმიმართების პრობლემა გერმანული ხელოვნების თეორიაში) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი არ ჰქონდა მითითებული. ექსპერტების თქმით, რეალობაში, არც ამ საგანთა სილაბუსები და არც მათ განმახორციელებელ პროფესორებთან გასაუბრება მსგავსი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძეოდა, რადგან ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემა სტუდენტისთვის, ბუნებრივია, ამ ცოდნის დარგობრივ სფეროში შესაბამის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებაზე იყო ორიენტირებული. მათ აღნიშნეს, რომ სწავლის შედეგების რუკის ამგვარად აგების მოტივაციად იმის მოტანა, რომ აღნიშნული საგნები თეორიულ კურსებს წარმოადგენდნენ და სწავლებისას

პრაქტიკის ელემენტს არ შეიცავდნენ, არამართებულად მიაჩნდათ. სწავლის შედეგების რუკა არა სწავლების ფორმატს, არამედ უკვე წაკითხული დისციპლინით გამომუშავებულ უნარებს უნდა ასახავდეს, შესაბამისად, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ, სწავლის შედეგების რუკა მოსულიყო შესაბამისობაში აღნიშნული საგნების სილაბუსებთან და მათი სწავლების კონცეფციასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენდა იმ კომპონენტს, რომელიც ავითარებდა სტუდენტის ყველა კომპეტენციას. სილაბუსებში იყო განსაზღვრული თითოეული კომპონენტის შედეგები. მან დაამატა, რომ რელიგიური კვლევები ახალ დარგს წარმოადგენდა, სტუდენტთა ინტერესი მაღალი იყო, დასაქმების არეალში მოიაზრებოდა საჯარო სამსახური, ჟურნალისტიკა, ასევე განათლების სფერო.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა სასულიერო პირებს თუ ელოდებოდნენ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობაში არ იყო შეზღუდვა, დაინტერესებული იყვნენ ასევე მუსლიმი ქართველებიც, ვისაც სურდათ რელიგიის შესწავლა.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა, ენების მიმართულებით თუ ჰქონდათ არჩევითი კურსები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილი იყო 120 კრედიტით, ენის ხარისხიანად შესწავლა კი არ გამოდიოდა მცირე დროში, არაბული ენის სწავლება და ყურანის წაკითხვა არარეალური ამოცანა იქნებოდა ამ დროში ჩასატევად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ურთიერთობები
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაინტერესებულ მხარეებს კითხვით მიმართა, ხომ არ იყო აცილება.

საბჭოს წევრმა, რევაზ სოლომონიამ დააფიქსირა აცილება საკითხზე აღნიშნულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მიზეზით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ დალი ოსეფაშვილი და მარიამ გერსამია. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დასკვნა იყო დადებითი, ვიზიტი ჩატარდა პროდუქტიულად, კარგ სამუშაო გარემოში და რეკომენდაციები, რაც შემუშავდა საბოლოო ურთიერთშეჯერების ფონზე იყო ჩამოყალიბებული:

- ექსპერტების თქმით, პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა ის, რომ მის განხორციელებაში ჩართული იყო არაერთი მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ამ დარგში შესაბამისი კადრების სიმწირის გამო კი მნიშვნელოვანი იყო, რომ ადმინისტრაციის მხრიდან გაგრძელებულიყო მუშაობა მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის და არსებული კადრების შენარჩუნების კუთხით.
- პროგრამის ძლიერ მხარეს ასევე წარმოადგენდა ის, რომ უზრუნველყოფილი იყო კომპეტენციაზე დაფუძნებული განათლების მიღება თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული უნარების სინთეზირებით. პროგრამას ჯერ არ ჰყავდა სტუდენტები. სტუდენტების მიღების შემდეგ, სასურველია უნივერსიტეტში წახალისებულიყო მათი ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობა და აკადემიური პერსონალის ამ მიმართულებით მხარდაჭერა. სასურველია, მომავალში ადმინისტრაციის მხარდაჭერით გამართულიყო დარგობრივი სამეცნიერო კონფერენციები, შექმნილიყო და განვითარებულიყო სამეცნიერო პლატფორმა, სადაც მაგისტრის ხარისხის მაძიებლებთან/სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მოხდებოდა, როგორც სტუდენტების სამაგისტრო კვლევების განხილვა და პრეზენტაცია, ასევე დარგის ახალი გამოწვევების ანალიზი.
- სილაბუსების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო მასალა უახლეს ბეჭდურ და ელექტრონულ გამოცემებსა და ონლაინ რესურსებს წარმოადგენდა. სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა და ადმინისტრაციამ მუდმივად ეზრუნა უახლესი ლიტერატურით ბიბლიოთეკის და სასწავლო კურსების განახლებაზე, დამატებითი ლიტერატურის შეთავაზებაზე.

- ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავდა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის შეძლებისდაგვარად კარგი გარემოს შექმნაზე. ვინაიდან პროგრამა ახალი იყო, სასურველია მომხდარიყო დაკვირვება და დროული მხარდაჭერა ახალი, ინოვაციური სასწავლო კურსების და პროექტების განხორციელებისთვის.

ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენად მსუბუქი იყო რეკომენდაცია მათი შეფასებით. მარიამ გერსამიამ აღნიშნა, რომ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში უნდა შემუშავებულიყო პროგრამის განვითარების მექანიზმები, ინტერვიუირებისას იმსჯელეს, თუ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო სამეცნიერო მუშაობის გაძლიერება, პროგრამა ნამდვილად იყო გამორჩეული. მან აღნიშნა, რომ ამ კუთხით სპეციალისტების დეფიციტი იყო და საჭირო იყო გაძლიერება კადრების, რათა ბირთვი არ დაშლილიყო და პროგრამას საფრთხე არ შექმნოდა მომავალში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია იყო ბუნებრივი რეფლექსი, პროგრამას ხელი უნდა შეეწყო კადრების მომზადებას თეორიული და პრაქტიკული ჩვევებით, პროგრამის ხელმძღვანელი, თორნიკე გურული, იყო კონკურენტული, და დაწესებულების მოსაზრებით, ის არ წავიდოდა უნივერსიტეტიდან, რადგან მას ჰქონდა კონტრაქტი კარგი პირობებით.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 15-20 სტუდენტის მიღებას აპირებდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

11. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარმოადგინა გიორგი ღაღანიძემ. მან აღნიშნა, რომ ჩატარდა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან, პერსონალთან, გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრამაში აქცენტი გაკეთებული იყო ტექნიკურ მიმართულებაზე და ექსპერტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა საერთო ჯამში. ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა დისციპლინის „ეკონომეტრიკა" მე-3 სემესტრიდან მე-2 სემესტრში გადატანა. ეს არ დაარღვევდა სავალდებულო/არჩევითი კომპონენტების თანაფარდობას, გაუმჯობესებდა სემესტრების მიხედვით კრედიტების განაწილებას. ასევე მიზანშეწონილი იყო ამ დისციპლინის სწავლება "მაკროეკონომიკური პროგნოზირების" დისციპლინამდე და არა მის პარალელურად;
- ექსპერტების აზრით, საჭირო იყო რამოდენიმე სილაბუსში შეფასების ცალკეული კომპონენტების უფრო სრული დეტალიზაცია, რაც ხელს შეუწყობდა მაგისტრანტთა შეფასების გამჭვირვალობის ზრდას;
- სასურველი იყო, მაგისტრანტთა დეტალური ინსტრუქტაჟი მათ მიერ არჩევითი საგნების არჩევის ვადებისა და შესაძლებლობების შესახებ, რაც დადებითად აისახებოდა მათ მიერ კურსის მოთხოვნების დროულად შესრულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუგზარ სხირტლაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები სავსებით მისაღები იყო, უკვე გათვალისწინებული იყო სასწავლო გეგმაში, რაც შეეხებოდა სტუდენტების არჩევანის ორგანიზებას, ყველა პროგრამას ჰყავდა მენეჯერი, ვინც ეხმარებოდა ორიენტირებაში და ცდილობდნენ ყოველ სემესტრში გამოეცხადებინათ საგნები, რათა ტემპი არ დავარდნილიყო და მაგისტრანტებს არ დასჭირვებოდათ ლოდინი.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, მაია გონაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ჩართული იყო ტემპუსის პროგრამაში, შესაბამისად, პროფესორები გადამზადდნენ, ითარგმნა მასალები, სტუდენტები მიდიოდნენ საზღვარგარეთ ერთი სემესტრით და საერთო ჯამში, გადაწყდა გაკეთებულიყო სამაგისტრო პროგრამა. მან აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტების მოსაზრებას

კურსების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით და მაკროეკონომიკის შემდეგ ესწავლებინათ ეკონომეტრიკა.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა რატომ ჰქონდათ გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომზე 18 კრედიტი, როდესაც სხვა ყველა უნივერსიტეტს 30 კრედიტის მოცულობით ჰქონდა წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი. დაწესებულების წარმომადგენლება უპასუხეს, რომ ეს მათი არჩევანი იყო, სტილი უნივერსიტეტებს შეიძლებოდა ჰქონოდათ სხვადასხვა, თუმცა, მთავარი იყო რომ დაცული იყო სავალდებულო კურსების თანმიმდევრობა და პროგრამა შედეგზე გადიოდა. მან დაამატა, რომ 2009 წლიდან უნივერსიტეტი ჩართული იყო ჰარვარდის კურსში, სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება, დარეგისტრირებულიყვნენ ჰარვარდის პროგრამებზე.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოაზრებული იყო 20 სტუდენტის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:34 საათზე საბჭოს სხდომა დასრულდა.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
თუთა ნარმანია